

|   |  |
|---|--|
| <p>შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველოს (შემდგომში ორგანიზაცია) და მცხეთის მუნიციპალიტეტს (შემდგომში - მუნიციპალიტეტი) შორის</p>   | <p>Agreement of Partnership Between the Greens Movement of Georgia/Friends of the Earth - Georgia (Organization - hereinafter) and Mtskheta Municipality (Municipality -hereinafter)</p>   |
| <p>ქ. მცხეთა<br/>22 ნოემბერი 2021</p>   | <p>Mtskheta<br/>November 22, 2021</p>  |
| <p>წინამდებარე შეთანხმებით (შემდგომში – შეთანხმება), ორგანიზაცია და მუნიციპალიტეტი (შემდგომში - მხარეები) ვთანხმდებით თანამშრომლობაზე, ამავე შეთანხმებით გათვალისწინებული პირობებით:</p>  | <p>With the present Agreement (hereinafter - agreement), organization and Municipality (parties- hereinafter) agree to cooperate, upon conditions indicates in this agreement:</p>   |
| <p>1. შეთანხმების საგანი:<br/>მხარეების მიერ საქართველოში იაპონიის საელჩოს (შემდგომში – დონორი) ადამიანის უსაფრთხოების (GGP) საგრანტო პროგრამის ფარგლებში შესაძენი ნარჩენების შემგროვებელი მძიმე ტექნიკის (შემდგომში – ტექნიკა) (#1 დანართში მითითებული ტექნიკური სპეციფიკაციებით) მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება</p> <p>2. მხარეების ვალდებულებები:</p> <p>2.1. ტექნიკის შემოწმება - მუნიციპალიტეტი დაეხმარება ორგანიზაციას ტექნიკის ტექნიკური პარამეტრების დადგენაში და ტექნიკისათვის ორგანიზაციის მიერ თანხის გადარიცხვამდე, შეამოწმებს შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტის მეშვეობით ტექნიკის გამართულ ფუნქციონირებას.</p> <p>2.2. თანადაფინანსება და დღგ-ს დაფარვა – მუნიციპალიტეტი ჩაიბარებს მძიმე ტექნიკას ორგანიზაციის მიერ მისი საქართველოს საზღვარზე მოწოდებისთანავე და განახორციელებს მიღებული ტექნიკის საქართველოს ტერიტორიაზე შემოყვანისა (მათ შორის საბაჟო პროცედურები) და რეგისტრაციისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის მოქმედებებს, ასევე, მოახდენს გადმოცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების დასაფინანსებლად თანხის ანაზღაურებას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).</p> | <p>1. Object of the Agreement:<br/>Implementation of appropriate measures by the parties for transferring the Garbage collection heavy equipment (equipment – hereinafter) to Municipality, to be purchased within the GGP Human Security Grant Program of the Embassy of Japan in Georgia (the donor – hereinafter) – referred to as equipment hereinafter (with technical specifications detailed in the Annex 1)</p> <p>2. Parties are Obligated to:</p> <p>2.1. Examination of equipment – Municipality will support organization<sup>8</sup> in establishing the technical parameters of the equipment and prior to the grant amount being transferred, to confirm proper functioning of the equipment, through engagement of a qualified specialist;</p> <p>2.2. Co-funding and VAT coverage – Municipality will accept the equipment after its delivery by organization at the border crossing point of Georgia and will ensure transportation of the accepted heavy equipment on the territory of Georgia (including customs clearance) and relevant procedures necessary for registration prescribed by Georgian legislation. Municipality will also ensure the funding of relevant</p> |

|  |  |
|--|--|
| <p>მუნიციპალიტეტი ვალდებულია, დაფროს ტექნიკის და გარე აუდიტის დღგ-ს ხარჯები, და გამოყოს საჭირო მოცულობის დამატებითი თანხები იმ შემთხვევაში, თუ განხორციელებული შესყიდვის პროცედურის შედეგად, არ იქნება საკმარისი იაპონიის საელჩოს მიერ დაფინანსებული თანხა საგრანტო შეთანხმების შესასრულებლად. აღნიშნული თანხის გამოყოფა უნდა მოხდეს ისე, რომ პროექტის დასრულება (ტექნიკის შესყიდვა და ჩაბარება) შესაძლებელი იყოს საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 1 წლის განმავლობაში);</p> <p><b>2.3. ტექნიკის ფუნქციონირება</b> - მუნიციპალიტეტი ვალდებულია, უზრუნველყოს გადაცემული ტექნიკის მიზნობრივი გამოყენება, მისი გამართული ფუნქციონირება და შეკეთება საჭიროების შემთხვევაში; (მათ შორის, მძღოლის, სპეციალისტების გადამზადება, ხელფასის დაფარვა, მონიტორინგი და ტექნიკის ყოველდღიური კოორდინირება; ტექნიკის რეგისტრაციისა და დაზღვევის ხარჯები);</p> <p><b>2.4. მოვლა-პატრონობა</b> – მუნიციპალიტეტი ვალდებულია, შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტის მეშვეობით, უზრუნველყოს ტექნიკის მოვლა-პატრონობა, პერიოდული შემოწმება, განახლება და მოვლა. საჭიროებისამებრ უზრუნველყოს მისი შეკეთება და გამართული სამუშაო მდგომარეობის შენარჩუნება. მუნიციპალიტეტი ვალდებულია დაფაროს შენახვასა და ტექნიკის შეკეთებასთან დაკავშირებული ხარჯები დროულად;</p> <p><b>2.5. ტექნიკის საწყობის მოწყობა</b> – მუნიციპალიტეტი ვალდებულია, საკუთარი დაფინანსებით უზრუნველყოს ტექნიკისთვის საწყობი სივრცის მოწყობა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობები, ტექნიკის გამართული ფუნქციონირების შესანარჩუნებლად;</p> <p><b>2.6. სამართლებრივი შესაბამისობა</b> – მხარეები ვალდებული არიან უზრუნველყონ ტექნიკასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი საკითხის მოგვარება დროულად, ამ შეთანხმებით დადგენილი ვადების შესაბამისად;</p> <p><b>2.7. ტექნიკური შესაბამისობა</b> – მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს ტექნიკის გამართული ფუნქციონირება პროაქტიული – გეგმიური და დროული – რეაქტიული შეკეთებით და მოვლა-პატრონობით;</p> | <p>measures related to the handover ceremony (in case of necessity). Municipality is obliged to provide the necessary amount of VAT, for equipment and Audit fee, and co-funding in case if, as a result of procurement procedure, the amount provided by the Embassy of Japan turns out to be not enough for implementing the Grant Agreement. This co-funding must be provided in such a way to make it possible to complete the project (purchasing and delivery of the equipment) no later than 1 year after the signing of the Grant Contract;</p> <p><b>2.3. Functioning of the equipment</b> – Municipality is obliged to ensure all essential preconditions for purposeful usage, proper functioning of the equipment and its maintenance in case of necessity (including, but not limited to training driver, specialist, coverage of salaries, monitoring and daily coordination of the equipment; registration and insurance fee of the equipment);</p> <p><b>2.4. Maintenance</b> – Municipality is obliged to ensure maintenance of the equipment, with the engagement of the relevant qualified specialists, to periodically examine the condition of the equipment, to ensure its repairs and maintenance, as necessary, and ensuring its good working condition. Municipality is obliged to cover all costs related to maintenance and repairs of the equipment from its own budget funds;</p> <p><b>2.5. Arranging the storage for equipment</b> – Municipality is obliged to ensure arrangement of the equipment storage, with its own funding. The storage must have the relevant conditions, ensured, for proper functioning of the equipment;</p> |
|--|--|

|  |   |
|--|---|
| <p>2.8. <b>უსაფრთხოების ნორმების დაცვა</b> – მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს ტექნიკასთან დაკავშირებული ყველა საკითხში როგორც ტექნიკის, ისე მასზე მომუშავე პერსონალის და ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოება ნებისმიერი პირდაპირი თუ ირიბი ზიანისგან;</p> <p>2.9. <b>ზიანის თავიდან აცილება</b> – მუნიციპალიტეტი ვალდებულია დაიცვას ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობა, ბუნებრივი და ხელოვნური გარემო და შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით იმგვარად უზრუნველყოს ტექნიკის ფუნქციონირება, რომ ზიანი არ მიადგეს აღნიშნულ და სხვა საჯარო და კერძო ინტერესს;</p> <p>2.10. <b>გადამზადება</b> – მუნიციპალიტეტი ვალდებულია, შესაბამისი კვალიფიციური ტრენერების მეშვეობით, გადამზადდეს ტექნიკასთან მომუშავე პერსონალი და უზრუნველყოს ტექნიკის სწორი გამოყენება;</p> <p>2.11. <b>ინსტიტუციური მეხსიერება</b> - ორგანიზაცია და მუნიციპალიტეტი ვალდებული არიან ტექნიკასთან და პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია შეინახონ და უზრუნველყონ ინსტიტუციური მეხსიერების არსებობა;</p> <p>2.12. <b>გარემოსდაცვითი უსაფრთხოება</b> მუნიციპალიტეტი და ორგანიზაცია ვალდებული არიან ამ შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებული სამუშაოები განახორციელონ ხელოვნური და ბუნებრივი გარემოს მაქსიმალური დაცულობით და ყველა გონივრული ქმედება განახორციელონ ზიანის თავიდან ასაცილებლად.</p> <p>2.13. <b>ტექნიკის შესყიდვის პროცედურა</b> – მუნიციპალიტეტი და ორგანიზაცია ვალდებული არიან ტექნიკის შესყიდვა განახორციელონ კონკურენტულად და დაიცვან დონორის მიერ განსაზღვრული წესები (მათ შორის, თანხის გადარიცხვის პროცედურები, განსაზღვრული დამატებითი შეთანხმებით);</p> <p>2.14. <b>ტექნიკის შემოწმება</b> – მუნიციპალიტეტი და ორგანიზაცია ვალდებული არიან შეამოწმონ ტექნიკის ხარისხი (კომპეტენტური სპეციალისტების მეშვეობით) და მხოლოდ ტექნიკის გამართულობის შესახებ დასკვნისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ გადარიცხონ დაფინანსების სრული თანხა</p> | <p>2.6. <b>Legal compliance</b> – signatories are obliged to ensure resolution of all legal matters and concerns related to the equipment in a timely manner, in accordance with the timeframes, described in this agreement;</p> <p>2.7. <b>Technical compliance</b> – Municipality is obliged to ensure proper functioning of the equipment – including by proactive – planned and timely – responsive repairs and maintenance;</p> <p>2.8. <b>Safeguarding safety norms</b> – Municipality is obliged to ensure safety and security from any direct or indirect harm, and to safeguard equipment, its personnel and local population and their safety and security;</p> <p>2.9. <b>Avoiding harm</b> – Municipality is obliged to safeguard local cultural heritage, its natural and artificial environment and through engagement of the relevant specialists, to ensure such functioning of the equipment, as to avoid any harm to the above and other public or private interests;</p> <p>2.10. <b>Training</b> – Municipality, is obliged (through the relevant qualified trainer), to train all personnel workers with the equipment to ensure proper usage of the equipment;</p> <p>2.11. <b>Institutional memory</b> – Municipality and organization undertake obligation to store and preserve institutional memory on any issue related to project or equipment;</p> <p>2.12. <b>Environmental safety</b> – Municipality and organization are obliged to perform the works, prescribed in this agreement, in maximal protection of artificial and natural environment and to implement all reasonable actions to prevent damages.</p> <p>2.13. <b>Procurement procedure</b> – Municipality and organization are obliged to select equipment competitively and to follow the donor rules (among others, money transfer</p> |
|--|---|

|   |  |
|---|--|
| <p>(შესაძლებელია ნაწილობრივი ავანსის გათვალისწინება დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში);</p> <p>2.15. ტექნიკის ადგილმდებარეობის მონიტორინგი მუნიციპალიტეტი და ორგანიზაცია ვალდებული არიან მოახდინონ ტექნიკის ადგილმდებარეობის მუდმივი მონიტორინგი და პრობლემის იდენტიფიცირების შემთხვევაში, დაუყოვნებლოვ მოახდინოს რეაგირება;</p> <p>2.16. ტექნიკის მაქსიმალური დატვირთვა – მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს ტექნიკის მაქსიმალური დატვირთვა ყველა სეზონის დროს;</p> <p>3. პროექტის ცვლილება:</p> <p>3.1. დაუშვებელია პროექტის ცვლილება – დაუშვებელია პროექტის ნებისმიერი ნაწილის ცვლილება.</p> <p>3.2. აუცილებლობის შემთხვევაში, დონორთან შეთანხმება – პროექტის ცვლილების აუცილებლობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი და ორგანიზაცია ვალდებული არიან წინასწარ წერილობით მოითხოვონ დონორისგან თანხმობა შესატან ცვლილებებზე.</p> <p>4. ზიანის ანაზღაურება:</p> <p>ტექნიკის დაზიანების შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მძიმე ტექნიკა დაზიანდა საგანგებო სიტუაციის ან დაუძლეველი ძალის გამო, მუნიციპალიტეტი ვალდებულია იღებს, შეაკეთოს ტექნიკა.</p> <p>5. ვადები:</p> <p>5.1. ერთი წელი საგრანტო კონტრაქტის ხელმოწერიდან – მუნიციპალიტეტი და ორგანიზაცია ვალდებული არიან დაასრულონ პროექტის განხორციელება მაქსიმუმ ერთ წელიწადში საგრანტო კონტრაქტის ხელმოწერის დღიდან;</p> <p>5.2. წინასწარი შეტყობინება შეყოვნების შემთხვევაში – პროექტის განხორციელების გარდაუვალი შეყოვნების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი და ორგანიზაცია ვალდებული არიან, მინიმუმ 1 თვით ადრე პროექტის დასრულებამდე გააფრთხილონ დონორი წერილობით და მოითხოვონ პროექტის გახანგრძლივება შესაბამისი დასაბუთებით;</p> | <p>procedures, described in additional agreements with the donor);</p> <p>2.14. <b>Equipment examination</b> – Municipality and organization are obliged to check the quality of equipment (through competent experts) and only after the quality conclusion and delivery receipt acts are formed, to transfer the full amount of funding to the provider (it is possible to transfer part of the amount in advance, based on a justified need);</p> <p>2.15. <b>Location monitoring</b> – Municipality and organization are obliged to permanently monitor the equipment and in case of a problem, to immediately respond to the problem;</p> <p>2.16. <b>Maximal usage</b> – Municipality is obliged to maximally use the equipment during all seasons;</p> <p>3. <b>Project changes:</b></p> <p>3.1. Project cannot have changes – it is prohibited to introduce any changes to the project;</p> <p>3.2. <b>In case of necessity, agreement with the donor</b> – is necessary, in which case Municipality and organization have the obligation to submit prior written request for project change.</p> <p>4. <b>Damage restitution:</b><br/>If equipment is damaged, unless equipment is damaged due to an emergency or force majeure, Municipality undertakes to repair the equipment.</p> <p>5. <b>Timeframes:</b></p> <p>5.1. <b>Within one year after grant contract signing</b> – Municipality and organization have the obligation to complete the project;</p> |
|---|--|

|   |  |
|---|--|
| <p>5.3. მინიმუმ 10-წლიანი მდგრადობა – მუნიციპალიტეტი ვალდებულია იზრუნოს ტექნიკაზე იმგვარად, რათა მისი ეფექტური გამოყენება შესაძლებელი იყოს მინიმუმ 10 წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ტექნიკა დაზიანდა საგანგებო სიტუაციის ან დაუძლეველი ძალის გამო.</p> <p>5.4. შეთანხმების ვადები – შეთანხმება ძალაში შედის ორივე მხარის ხელმოწერიდან და ძალაშია დონორთან წერილობითი შეთანხმებით, ამ შეთანხმების შეწყვეტამდე.</p> <p>5.5. შეთანხმებაში ცვლილებები – დასაშვებია მხოლოდ დონორთან წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.</p> <p>6. ინფორმაციის გაცვლა და კოორდინაცია:</p> <p>6.1. პასუხისმგებელი პირი – მუნიციპალიტეტი და ორგანიზაცია ვალდებული არიან გამოიყონ პროექტზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ექნება შესაბამისი უფლებამოსილება და კომპეტენცია პროექტის ეფექტიანი განხორციელებისთვის;</p> <p>6.2. პროაქტიული კომუნიკაცია – მუნიციპალიტეტი და ორგანიზაცია ვალდებული არიან პროაქტიულად მიაწოდონ ინფორმაცია დონორს და ერთმანეთს პროექტის მიმდინარეობისა და ტექნიკის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაციის არმიწოდების შემთხვევაში, შესაბამისი მხარე შესაძლოა პასუხისმგებელი იყოს შეუტყობინებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისთვის.</p> <p>6.3. ანგარიშგება – ორგანიზაცია ვალდებულია მიაწოდოს დონორს ყოველთვიური ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ, გახსნის ცერემონიამდე. ამის შემდეგ, მუნიციპალიტეტი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდონ დონორს მოთხოვნისთანავე.</p> <p>6.4. კოორდინაცია – მუნიციპალიტეტი და ორგანიზაცია ვალდებულია იღებენ ეფექტიან კოორდინაციაზე, პროექტის წარმატებით ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად;</p> <p>6.5. დონორის აუდიტი და შემოწმება – მუნიციპალიტეტი და ორგანიზაცია ვალდებულია იღებენ, დონორის მიერ სხვადასხვა აუდიტისა და შემოწმების მიზნებისთვის, შეაგროვონ, შეინახონ და მიაწოდონ დონორს ყველა ფინანსური და</p> | <p>5.2. Prior warning in case of delay – is required, during which Municipality and organization are obliged to provide written request for project change to the donor, no later than 1 month prior to the completion of the project (with relevant justification);</p> <p>5.3. Minimum 10-year sustainability – Municipality is obliged to take care of equipment in such a way, to make it possible to effectively use it for minimum 10 years, unless heavy equipment is damaged due to an emergency or force majeure.</p> <p>5.4. Agreement timeframe – this agreement enters force after signing of both parties and is in force until the cancelation, with prior written permission from the donor;</p> <p>5.5. Changes to the agreement – are only allowed with prior written permission from the donor.</p> <p>6. Exchange of information and coordination:</p> <p>6.1. Responsible person – Municipality and organization are obliged to appoint a contact person, responsible for the project, who will have relevant rights<sup>®</sup> and qualifications for ensuring effective implementation of the project;</p> <p>6.2. Proactive communication – Municipality and organization have obligation to proactively provide information to donor and each other about project implementation process and condition of the equipment. Non-provision of information may result in reimbursement obligation of the relevant party for the caused damages;</p> <p>6.3. Reporting – organization is obliged to provide information to donor on a monthly basis, about the project implementation process, before the opening ceremony. After this,</p> |
|---|--|


|   |  |
|---|--|
| <p>ტექნიკური ინფორმაცია ტექნიკისა და პროექტის შესახებ.</p> <p><b>7. ლეგალურობა და ლეგიტიმურობა:</b></p> <p><b>7.1.სამართლებრივი – მუნიციპალიტეტი და</b> ორგანიზაცია ვალდებული არიან დაიცვან საქართველოს კანონმდებლობა და ყველა გონივრული ძალისხმევა გამოიჩინონ კანონდარღვევის თავიდან ასაცილებლად.</p> <p><b>7.2.პოლიტიკური – მუნიციპალიტეტი და</b> ორგანიზაცია ვალდებული არიან პროექტთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული ყველა საკითხი გადაწყვიტონ საქართველოს მიერ გაცხადებული პოლიტიკური სტრატეგიის შესაბამისად (მაგალითად, მწვანე პოლიტიკა, უსაფრთხოების პოლიტიკა, და ა.შ.)</p> <p><b>7.3.ეთიკური – მუნიციპალიტეტი და ორგანიზაცია</b> ვალდებული არიან დაიცვან ეთიკის ნორმები და ყველა გონივრული ძალისხმევა გამოიჩინონ ეთიკის ნორმების დარღვევის თავიდან ასაცილებლად, პროექტთან მიმართებაში.</p> <p><b>8. ხილვადობა:</b></p> <p><b>8.1.საინფორმაციო დაფა – მუნიციპალიტეტი</b> ვალდებულია, თავისი ხარჯით, დაამზადოს მაღალი ხარისხის (გამძლე) საინფორმაციო დაფა (მინიმუმ 60სმ x 50 სმ), რომელზეც ასახული იქნება იაპონური და ქართული დროშები, წარწერით ქართულ და ინგლისურ ენაზე: „მძიმე ტექნიკის შეძენა შესაძლებელი გახდა იაპონელი ხალხისა და მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.“ ასევე, მუნიციპალიტეტი ვალდებულია, შეძენილ ტექნიკაზე გამძლე საშუალებით ასახოს იაპონიის დროშა ხილვად ადგილას.</p> <p><b>8.2.ინფორმაციის გავრცელება – მუნიციპალიტეტი</b> და ორგანიზაცია ვალდებული არიან ყველა საჯარო კომუნიკაციაში (წერილობით თუ ზეპირში) ტექნიკასთან დაკავშირებით, ახსენონ იაპონელი ხალხისა და მთავრობის ფინანსური მხარდაჭერა და თავის ვებგვერდებსა და ფეისბუქ გვერდებზე მიუთითოს იაპონიის ფინანსური მხარდაჭერის შესახებ და ყველა საინფორმაციო საშუალებით ხელი შეუწყოს იაპონურ-ქართული ურთიერთობების განმტკიცებას.</p> | <p>Municipality is obliged to provide the information to donor upon request.</p> <p><b>6.4.Coordination – Municipality and organization</b> undertake obligation for effective coordination, for ensuring effective functioning of the project;</p> <p><b>6.5.Donor audit and examination –</b> Municipality and organization undertake obligation to collect, store and provide donor information on all financial and technical issues, for the purpose of audits and monitoring/examination visits.</p> <p><b>7. Legality and legitimacy:</b></p> <p><b>7.1.Legal compliance – Municipality and organization</b> have obligation to comply with Georgian legislation and make all reasonable efforts to avoid violation.</p> <p><b>7.2.Policy compliance – Municipality and organization</b> are responsible for resolving all directly or indirectly related issues in compliance with Georgia’s declared policies and strategies (for example, green policy, security policy, etc.).</p> <p><b>7.3.Ethical compliance –Municipality and organization</b> are obliged to follow norms of ethics and make all reasonable efforts to avoid any unethical behavior in relation to the project.</p> <p><b>8. Visibility:</b></p> <p><b>8.1.Information banner – Municipality is</b> obliged, with its own expenses, to prepare the durable information banner (minimum 60cm x 50cm), which will reflect Japanese and Georgian flags with writing in English and Georgian: “Purchase of heavy equipment was made possible with financial support of the Japanese People and Government.” Also, Municipality is obliged to reflect</p> |
|---|--|

|  |   |
|--|---|
|  | <p>Japanese flag in a visible place on the purchased equipment.</p> <p><b>8.2. Sharing information</b> –Municipality and organization are obliged, in all its communication (written or oral) related to the equipment, to mention the financial support of the Japanese People and Government, indicate of Japanese financial support on their websites and Facebook pages and to support strengthening Japanese-Georgian ties through all information channels.</p> |
|--|---|

ხელმოწერები:

Signatures:

საქართველოს მწვანეთა  
მოძრაობა/დედამიწის მეგობრები -  
საქართველოს  
თავმჯდომარე  
ნინო ჩხოზაძე



**The Greens Movement of Georgia/Friends  
of the Earth - Georgia  
Chairperson  
Nino Chkhobadze**

მცხეთის მუნიციპალიტეტის  
მერი  
დimitრი ზურაბიშვილი  
Mayor of Mtskheta Municipality  
Dimitri Zurabishvili